

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

**პროექტის „ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე
გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი
საქართველოში“ განხორციელების ანგარიში**

(2015 წლის აპრილი - 2016 წლის თებერვალი)

2016 წლის მარტი

შინაარსი

შესავალი	3
1. IDFI-ს ჩართულობა საინფორმაციო კამპანიაში, მხარდაჭერა, დახმარება და მონიტორინგი.....	6
2. საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მათი შესრულების ადვოკატირება.....	9
3. სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების (ქსელის აგების მიმართულება) და დაფარვის მონიტორინგი	10
4. სეთ-თოფ-ბოქსების დარიგების, რეალიზაციის და ინსტალაციის პროცესების მონიტორინგი ..	13
4.1. სუბსიდირებული მომხმარებლები.....	14
4.2. არასუბსიდირებული მომხმარებლები	16
5. ორგანიზაციის აქტივობები ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების აგების და მაუწყებლების დაშვების საკუთხებთან დაკავშირებით.....	19
6. დარჩენილი პრობლემები.....	23
7. პროექტის მედია გაშუქება	24
8. პროექტის დასკვნითი ღონისძიება.....	28

შესავალი

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ - IDFI 2012 წლის დეკემბრიდან ჩართულია საქართველოს ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერის და ადვოკატირების პროცესში. აქტივობებს ახორციელებს პროექტის „ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ ფარგლებში ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგს და მხარდაჭერას IDFI-იმ დაასრულა 2016 წლის დასაწყისისთვის. სხვადასხვა ორგანიზაციების და პროცესზე პასუხისმგებელი უწყებების შეფასებით, წარმატებული და დემოკრატიულ ღირებულებებზე მორგებული მოდელის დანერგვის საქმეში ჩვენი ორგანიზაციის წვლილი საკმაოდ დიდია. მიუხედავად რიგი საკითხების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ყურადღებისა, მთლიანობაში ეს პროცესი წარმატებულად და მედია ბაზრის მთავარი აქტორების - მაუწყებლების და მომხმარებლების ინტერესების შესაბამისად წარიმართა.

„ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ქართული მოდელი“ ასე უწოდეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს 2015 წლის ეუთოს ყოველწლიურ სამხრეთ კავკასიის მედია კონფერენციაზე,¹ რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი იყო. კონფერენციაზე, რომელშიც რეგიონის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობდა, მკაფიოდ აღინიშნა, რომ კავკასიის რეგიონში მხოლოდ საქართველომ შეძლო წარმატებით გამოერთო ანალოგური მაუწყებლობა და შეექმნა ციფრული სამაუწყებლო სისტემის საკუთარი მოდელი, რის მიღწევაც უმეტესად პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით გახდა შესაძლებელი.²

მიუხედავად ეროვნული დაფარვის მულტიპლექსების მუშაობისას გარკვეული მცირედი ხარვეზების და რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების წინაშე არსებული ბიზნეს მდგრადობის პრობლემებისა, მთლიანობაში, დღეის მდგომარეობით, ციფრული საეთერო მაუწყებლობის სისტემაში საქართველოში სახეზე გვაქვს 17 მცირე რეგიონული, 2 კერძო ეროვნული დაფარვის და ერთი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ეროვნული ციფრული ქსელი, რაც ერთ კონკრეტულ დასახლებულ წერტილში, მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 60 არხის მაყურებლისთვის უფასოდ ყურების შესაძლებლობას იძლევა მაშინ, როცა ანალოგური სისტემის შემთხვევაში ერთ ლოკალურ ტერიტორიაზე უფასოდ მხოლოდ 10-მდე არხის მიღება ხერხდებოდა და ისიც ხშირ შემთხვევაში ძალიან ცუდი ხარისხით.

¹ <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/117220-tbilisshi-samkhreth-kavkasiis-qveynebis-meeqvse-mediakonferencia-chatardeba.html?ar=A>

² <http://www.osce.org/fom/186526>

პროექტის „ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ განხორციელებისას, პროექტის ფარგლებში 2015 წლის აპრილიდან 2016 წლის თებერვლამდე პერიოდში IDFI-მ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმაზე გადასვლის პროცესის დასკვნითი ეტაპის დაგეგმვით და გაციფრულების სტრატეგიით განსაზღვრულ ჩარჩოებში წარმართვა და ქართული მედია ბაზრის ოპერატორების და მაუწყებლების ინტერესების მაქსიმალურად ასახვა;
- ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის დასკვნით ეტაპზე ტექნიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური მიმართულებების პრობლემური მხარეების და ბარიერების აღმოფხვრა აქტიური ჩართულობით და ადვოკატირებით, რეკომენდაციების წარდგენით;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს", ციფრული საეთერო სამაუწყებლო ქსელი ლიცენზიანტების, შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, მაუწყებლების საქმიანობის მონიტორინგი, პრობლემური მხარეების გამოკვეთა, რეკომენდაციების წარდგენა და აღნიშნული პროცესის ადვოკატირება.

„ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ პროექტის მიზნების მისაღწევად IDFI-ს მიერ განსაზღვრული იყო შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- შპს "საქართველოს ტელერადიო ცენტრის", შპს "სტერეო+"-ის და ადგილობრივი საეთერო ციფრული მაუწყებლობის ქსელების ლიცენზიანტების მიერ სალიცენზიო პირობების, მათ შორის მოსახლეობის დაფარვის, სატელევიზიო პროგრამების განთავსების და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების შესრულების მონიტორინგი, პრობლემური მხარეების კვლევა და განსახორციელებელი აქტივობების რეკომენდაციების წარდგენა;
- სსიპ "საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის", კომერციული მაუწყებლების ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლის საინფორმაციო კამპანიის სტრატეგიის რეალიზაციის, ასევე საკანონმდებლო ცვლილებების და დაგეგმილი აქტივობების კვლევა, ჩართვა პროცესებში და რეკომენდაციების წარდგენა;
- ციფრული მაუწყებლობის მხარდასაჭერად მოსახლეობის ინფორმირების საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობის, მისი ინტენსივობის, მოსახლეობასთან კომუნიკაციის არხების ეფექტურობის და სხვა დაკავშირებული საკითხების შეფასება. საინფორმაციო კამპანიის ეფექტურობის და მოსახლეობის მზაობის ინდექსის დადგენა, უშუალო დახმარება მოსახლეობის ინფორმირების კუთხით;

- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული სოციალურად დაუცველი მომხმარებლებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ღონისძიებების მონიტორინგი;
- ადგილობრივი ტელევიზიების ციფრულ საეთერო პლატფორმებზე გადასვლის პრობლემების კვლევა და დახმარება;
- ციფრულ საეთერო სატელევიზიო ქსელში არხების განთავსების პირობების გამჭვირვალების, არადისკრიმინაციული და ხარჯებზე ორიენტირებული დაშვების პირობების შესახებ რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობა და ადვოკატირება;
- იმ პრობლემების კვლევა, რომელიც წარმოიშვება ბოლო მომხმარებლების სუბსიდირებისას, ასევე ციფრული საეთერო ქსელის სიგნალების მიმღები აპარატურის დარიგებისას და ინსტალაციისას, ასევე სხვა პრობლემები დაკავშირებული მიმღები ანტენების ინსტალაციისას და სხვა ტექნიკური საკითხების მოწესრიგებასთან;
- სამაუწყებლო ქსელის განვითარების მდგომარეობის, აგების ვადების და ხარისხის კვლევა სატესტო წერტილის შერჩევით.

საქართველოში ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი გაყოფილი იყო ეტაპებად, თუმცა 2015 წელი, როგორც ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის წელი, ყველაზე აქტიური გამოდგა. ამავე პერიოდში გამოჩნდა ასევე ის ხარვეზები, რომლებიც არ იყო ასახული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიაში, თუმცა უმთავრესად მაინც უკავშირდებოდა იმ ამოცანას, რომ ახალ სამაუწყებლო პლატფორმაზე გადასვლა მინიმალურ დროში მცირე დანახარჯებით უნდა ყოფილიყო დასრულებული, ანუ დასმული იყო საკმაოდ რთული ამოცანა პროექტის განმახორციელებელი უწყებების მიმართ. IDFI-ს წინაშეც წინა წლებისგან განსხვავებით, დასმული იყო სხვა ამოცანები, კერძოდ მიღებული სტრატეგიის და სამუშაო გეგმის შესრულების მონიტორინგის და პროექტის უშუალოდ განმახორციელებელი უწყებების და ორგანოების მხარდაჭერა.

2016 წლის 10 მარტს, "კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის", ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა (OSGF) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პარტნიორობით გაიმართა ერთობლივი მედია კონფერენცია. კონფერენციაზე სხვადასხვა მედია საშუალებისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეაფასეს მედია გარემო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, იმსჯელეს მედიის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის, ასევე საზოგადოების დამოკიდებულებაზე რუსული პროპაგანდასა და გავლენაზე, განიხილეს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა, ინტერნეტ თავისუფლება და ონლაინ სივრცის რეგულირების ტენდენციები, ხოლო დასკვნით ნაწილში შეჯამდა ციფრული მაუწყებლობის რეფორმა.

IDFI-ს წარმომადგენლებმა შეაჯამეს ციფრული მაუწყებლობის რეფორმა და წარმოადგინეს როგორც განხორციელებული რეფორმის ანალიზი, ასევე განიხილეს რეგიონული მაუწყებლების მდგომარეობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში.

1. IDFI-ს ჩართულობა საინფორმაციო კამპანიაში, მხარდაჭერა, დახმარება და მონიტორინგი

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება სსიპ ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს დებულებით დაევალა. სააგენტომ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება 2015 წლის იანვარში ვიდეო კლიპების გაშვებით დაიწყო. რასაც შემდეგ საინფორმაციო ფლაერების დარიგება მოჰყვა. IDFI პრაქტიკულად ყველა შეხვედრაზე მოუწოდებდა სააგენტოს, რომ საჭირო იყო უფრო აგრესიული და დროული კამპანია, რათა მოსახლეობა მომზადებული შეხვედროდა რეფორმას, საინფორმაციო ფურცლების თუ საინფორმაციო ბუკლეტების ტექსტი უნდა ყოფილი მარტივად აღსაქმელი და კონკრეტული ინსტრუქციის შემცველი. კრიტიკას იმსახურებდა მასკოტად შერჩეული მწერი, რომელსაც მოსახლეობა ვერ აკავშირებდა პროცესთან.

IDFI-ს მიერ წარდგენილი რეკომენდაციებით საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში უნდა გამოყენებულიყო კომუნიკაციის ყველა საშუალება, მათ შორის მოსახლეობასთან შეხვედრა, სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა და აშ. სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ მიერ მომზადებული საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) გეგმა ეფუძნებოდა ვიდეო კლიპების და საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებას, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

ე.წ. „ფლაერები“ მოსახლეობას დაურიგდა 2015 წლის მარტსა და მაისში. გამომდინარე იქიდან, რომ ანალოგური სიგნალის გამორთვა იგეგმებოდა 2015 წლის 17 ივნისს, 1-2 თვით ადრე მოსახლეობისთვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების შესახებ, ვერ უზრუნველყოფდა მაღალ მოთხოვნას სეთ-თოფ ბოქსებზე. პროცესში ჩართულმა ყველა მხარემ გაიზიარა მოსაზრება, რომ საჭირო იყო მეტი აქტიურობა საინფორმაციო კამპანიის გასაძლიერებლად. „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ მიერ გაიზარდა როგორც მედიაში გაშუქების სიხშირე, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა მოსახლეობასთან უშუალოდ, პირისპირ შეხვედრის ღონისძიებები, სადაც ხდებოდა დეტალური ახსნა, თუ ვის ეხება რეფორმა, რა იყო საჭირო მოსახლეობისთვის სათანადოდ მოსამზადებლად ციფრულ მაუწყებლობაზე დაუბრკოლებლად გადასასვლელად. რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებში მონაწილეობდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, IDFI-სა და შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ წარმომადგენლები.

ანალოგური სიგნალის გამორთვის შემდეგ, პრობლემა შეიქმნა მოსახლეობის მხარეს არსებულ ანტენებთან დაკავშირებით, რის მიზეზიც მოსახლეობისთვის მიწოდებული არასწორი ინფორმაცია იყო. რუსთავეში არსებული სიგნალის მიღების პრობლემებთან დაკავშირებით, IDFI-ს მონაწილეობით გაიმართა პრესკონფერენცია. ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია ამ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

რეკომენდაცია	პრაქტიკაში განხორციელება
სიუჟეტების მომზადება ციფრული მაუწყებლობის შესახებ	განხორციელდა
ყველა სიახლის შესახებ მედიისთვის პრესრელიზების მომზადება	განხორციელდა
საგაზეთო რეკლამა	განხორციელდა
ვებ გვერდის რეკლამირება და სისტემატიური განახლება	რეკლამირება არ მომხდარა, მხოლოდ 3200 მომწონებელი ჰყავს
სპეციალური ინფორმაციის მომზადება შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის	ე.წ. „ფლაერები“ დაიბეჭდა ეთნიკური უმცირესობების ენებზეც
რესივერების ინსტრუქციის ბეჭდვა და გავრცელება	ინტერნეტით გავრცელდა KONKA-ს ფირმის სეთ-თოფ ბოქსის დამონტაჟების ინსტრუქცია
სახურავის ანტენების ინსტალაციის, დაფარვის ზონების, ანტენების მომართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება	გვიან დაიწყო ამ ტიპის ინფორმაციის გავრცელება, მას შემდეგ რაც რუსთავეში პრობლემა შეიქმნა
ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება იმ სავაჭრო ობიექტების შესახებ, რომლებიც აწარმოებენ სერტიფიცირებული „სეთ-თოფ-ბოქსებს“	კომერციული კომპანიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უფლება საჯარო უწყებას არ აქვს, შესაბამისად ვერ მივიღეთ ოფიციალური ინფორმაცია საბაჟო სამსახურებიდან
სააგენტოს მიერ უნდა მოხდეს 2015 წელს განხორციელებული აქტივობების და მომავალი პერიოდისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენა	მომზადდა მხოლოდ ორი ანგარიში. მეორე იმეორებს პირველს
ზარები მომხმარებლისთვის საინფორმაციო სატელეფონო სერვისთან წვდომა გახდეს	ცხელი ხაზი სრულიად უფასო არ ყოფილა

უფასო	
იმპორტიორებისგან და საცალო მოვაჭრეებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მის ელექტრონულ გვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია ყველა იმ მოწყობილობის შესახებ, რომელიც იმპორტიორის მონაცემებით თავსებადია საქართველოს ციფრულ საეთერო პლატფორმასთან.	ბაზარზე არსებული ყველა სეთ-თოფ ბოქსის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა
ვებგვერდზე განთავსდეს რუკა, სადაც ნაჩვენებია იქნება ანძების განლაგება, ასევე გვერდს დაემატოს ველი, სადაც გამოჩნდება ტრანსლირებული არხები, ციფრული ზონების შესაბამისად.	განთავსდა, მაგრამ ძნელად მისაგნებ ადგილას
სააგენტომ აწარმოოს საქართველოში გაყიდული რისივერების და ციფრული ტელევიზორების გაყიდვების სტატისტიკის სისტემატური ყოველთვიური ანგარიშის გამოქვეყნება რეგიონების ჭრილში, ისევე როგორც მონაცემების წარმოდგენა სოციალურად დაუცველებისთვის დარიგებული რისივერების შესახებ;	არ განხორციელდა
სააგენტომ უნდა მოახდინოს საინფორმაციო კამპანიის აღქმადობის კონტროლი და პოლიტიკის შესაბამისი კორექტირება გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად;	არ შემოწმებულა საინფორმაციო კამპანიის ეფექტურობა
შეიქმნას ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან ე.წ. გაციფრულების შტაბი ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით ან კომისია, რომელიც მოახდენს კოორდინაციას და პრობლემების თავმოყრას და გადაჭრას.	არ შექმნილა

2015 წლის ნოემბერში ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ პროცესის დასრულებასთან დაკავშირებით შემაჯამებელი ღონისძიება გამართა, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელები (მათ შორის EBRD-ის) ესწრებოდნენ. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერისა და თანადგომისთვის ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) მადლობის სიგელით დააჯილდოვა. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შეჯამების საღამოზე

სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო ქუბინიძემ მადლობის სიგელები გადასცა პროექტში ჩართულ პირებს უჩა სეთურს, ნატა ძველიშვილს და ნათია კუპრაშვილს. საქართველოს ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარესა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, სადამოუხეშეკრებელ სტუმრებს სიტყვით მიმართა უჩა სეთურმაც, რომელმაც განვლილი პროცესი შეაფასა.

24 ნოემბერს IDFI-მ გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში, სადაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი შეაფასა. ანგარიშმა როგორც ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, ისე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უკმაყოფილება გამოიწვია. სააგენტო მიიჩნევდა, რომ ანგარიში ფაქტობრივი უზუსტობებით გამოქვეყნდა. IDFI-მ საპასუხო წერილით მიმართა უწყებას, წერილობითი კომუნიკაცია მოგვიანებითაც გაგრძელდა.

]

2. საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მათი შესრულების ადვოკატირება

IDFI-ის ექსპერტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ საქართველოს კანონებში „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული მაუწყებლობის შესახებ“ შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების, ასევე წარმოდგენილი პროექტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიმართულებით საჭირო აქტივობებში და შეხვედრებში სხვადასხვა ფორმატში. ამ მიზნით ექსპერტები, უჩა სეთური, ნატა ძველიშვილი და ნათია კუპრაშვილი რეგულარულად ესწრებოდნენ კომუნიკაციის ეროვნული კომისიის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩანიშნულ სხდომებს და შეხვედრებს (9 შეხვედრა და სხდომა), ასევე მართავდნენ კერძო შეხვედრებს GNCC-სთან (ათამდე შეხვედრა კომისიის წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან), რომელთა ფარგლებშიც ხდებოდა საქართველოს ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის კანონმდებლობის პრობლემური მხარეების და მიმართულებების ანალიზი და რეკომენდაციების წარდგენა. ექსპერტების შენიშვნები შეეხებოდა დაშვების პირობების, მოწვევის ოფერტების, საქსელო დაფარვის, საქსელო რესურსებთან დაშვების პირობების დადგენის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ეს პროცესი დასრულებული არ არის, თუმცა, ხსენებული პირები კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტების განხილვის ეტაპზეც მიიღებენ მონაწილეობას და განაგრძობენ პროცესის ადვოკატირებას ამ მიმართულებით.

3. სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების (ქსელის აგების მიმართულება) და დაფარვის მონიტორინგი

მთავრობის მიერ შემუშავებული ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის³ ფარგლებში ხუთი მულტიპლექსის ასაშენებლად სიხშირეები ღია კონკურსის წესით უნდა გაცემულიყო. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მართლაც გამოაცხადა კონკურსი, თუმცა, მხოლოდ ეროვნული დაფარვის MUX-ის და ორი ფასიანი MUX-ის მიღებაზე შეიტანა განაცხადი ერთმა კომპანიამ, „სტერეო+“-მა, რომელმაც უზრუნველყო მთელი ქვეყნის მასშტაბით ქსელის აგება.

2014 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასავრცელებლად სიხშირული რესურსი უსასყიდლოდ მიენიჭა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“, რომელმაც თავის მხრივ ტექნიკური სამუშაოების შესრულება შპს „ვეზირს“ დაუკვეთა. პროექტის მთლიანი ღირებულება არ სცდებოდა 11 მილიონ ლარს, თუმცა შპს „ტელერადიოცენტრმა“ დამატებით რამდენიმე მილიონ ლარზე სახელმწიფო შესყიდვა ე.წ. gapfiller-ებზე, ანუ დამატებით მცირე სიმძლავრიან ანძებზეც გამოაცხადა. ამ შესყიდვის ბიუჯეტიც უნდა მიეთვალოს სახელმწიფოს მიერ დახარჯულ სახსრებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის.

რეგიონულ მაუწყებლებს ადგილობრივი მულტიპლექსების ასაშენებლად უსასყიდლოდ ცალკე გამოეყოთ სიხშირული რესურსი.

გარდა ამისა, თბილისში ბაზირებულმა ხუთმა მაუწყებელმა შექმნა ამხანაგობა „მულტიპლექს თბილისი“ და თბილისის ზონაში გასავრცელებლად ასევე სიხშირული სარგებლობის უფლება მიიღეს.

კომპანიებმა ქსელის აგება დაიწყეს და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გრაფიკის შესაბამისად დაასრულეს პრობლემების მიუხედავად. დამთავრდა დავა მულტიპლექს თბილისის პარტნიორებს შორის, რომელიც ტარიფების ოდენობასთან დაკავშირებით დაიწყო. ერთ-ერთი პარტნიორი „ტელეკომპანია კავკასია“ მიიჩნევდა, რომ ქსელში დაშვებისთვის მაღალი ტარიფი იყო დაწესებული, რითაც მნიშვნელოვნად აზარალა არა მხოლოდ მულტიპლექს ოპერატორების ინტერესები, არამედ არამართლზომიერად შეუზღუდა ავტორიზებულ მაუწყებლებს სიხშირულ რესურსზე ხელმისაწვდომობა⁴. კომისიამ პარტნიორებს ტარიფის ხელახალი დაანგარიშება დაავალა.

ციფრული მაუწყებლობის ქსელის მონიტორინგი IDFI-მ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივნისის №273 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ანალოგური მიწისზედა

³ <http://digitaltv.ge/res/docs/2015052816320760654.pdf>

⁴ <http://gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2015-414-16.page>

სატელევიზიო მაუწყებლობის ეტაპობრივად გათიშვის გრაფიკის მიხედვით განახორციელა. თბილისის ციფრული ზონა გათიშა 1 ივლისს 10 საათზე. რის შემდეგაც IDFI-მ ციფრული მაუწყებლობის ქსელის მონიტორინგიც დაიწყო.

შემოწმება ხორციელდებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

1. ტესტირება ანალიზატორის გამოყენებით: რომლის პროცესში გაზომვები წარმოებდა TELEVES H45-ის ანალიზატორის მეშვეობით, დელტას ფირმის (311 H) მიმღები ანტენის (პარამეტრები 10 დეციბელამდე დეციმეტრულ სიხშირეებზე და 1.5 დეციბელი მეტრულ სიხშირეებში) გამოყენებით არაუმეტეს 5 მეტრის სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირიდან;

2. ტესტირება ბოლო მომხმარებლის აპარატურის გამოყენებით: მეთოდით მოსახლეობაში დარიგებული KONKA-ს და საცალო გაყიდვაში არსებული AG-ს ფირმის რისივერების, დელტას ფირმის (311 H) მიმღები ანტენის (პარამეტრები 10 დეციბელამდე დეციმეტრულ სიხშირეებზე და 1.5 დეციბელი მეტრულ სიხშირეებში) გამოყენებით არაუმეტეს 5 მეტრის სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირიდან ხდებოდა ტელევიზორის და რისივერის ჩართვა და ძეგნის რეჟიმში დაფიქსირებული ყველა სატელევიზიო არხის დაფიქსირება.

საერთო ჯამში შემოწმება განხორციელდა 89 პუნქტში მთელი საქართველოს მასშტაბით ანალოგური სიგნალის გამორთვის გრაფიკის შესაბამისად. შიდა ქართლსა და იმერეთში, მონაცემების დაზუსტების მიზნით, IDFI-მ ორი კვირის შემდეგ მეორეჯერ განხორციელდა შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოიკვეთა ორი პრობლემა არაქართულენოვანი არხების შემოსვლა და ქსელის არასაკმარისი მდგრადობა.

შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ რეგიონში შესაძლებელია არაქართულენოვანი ანალოგური არხების მიღება. რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქემ, რომელმაც ვერ მოახერხა სეთ-თოფ-ბოქსის ან DVB T2 სტანდარტის მქონე ტელევიზორის შეძენა, მათ შესაძლებლობა აქვთ ანალოგურ რეჟიმში მიიღონ სხვა ქვეყნების მაუწყებლობა. ეს განსაკუთრებით პრობლემას ქმნის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მდებარე და საზღვრისპირა სოფლებში. განსაკუთრებით პრობლემურია აღნიშნული ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მიმდებარე სოფლებში, სადაც სეთ-თოფ-ბოქსების კონცენტრაცია ნაკლებია, ან საერთოდ ვერ მოხერხდა ამ ტექნიკის შეტანა. შესაბამისად, მოქალაქეები, რომლებიც მიწისზედა მაუწყებლობით სარგებლობდნენ, ქართული არხების მიღებას ვერ შეძლებენ, ეს კი მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამედროვე სამყაროში, სადაც რუსეთი დიდ თანხას ხარჯავს საკუთარი „რბილი ძალის“ გასააქტიურებლად.

არანაკლები პრობლემაა საზღვრისპირა რეგიონები, მაგალითად, სამცხე ჯავახეთი, რომელიც ეთნიკურად არაქართველებით არის ძირითადად დასახლებული. ინტეგრაციის პრობლემები ისედაც არსებობს ქვეყანაში, ქართული ანალოგური არხების გათიშვა და მხოლოდ სომხური ან

აზერბაიჯანული არხების ხელმისაწვდომობა ქართული ინფორმაციის გარეშე დატოვებს მათ და ხელს შეუწყობს უფრო მეტ პოლარიზაციას.

სწორედ ამ პრობლემების გათვალისწინებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სხვადასხვა ტიპის შეხვედრებზე აღნიშნული იყო, რომ მოხდებოდა მეზობელი ქვეყნის ანალოგური სიხშირეების ჩახშობა, თუმცა IDFI-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ შემოწმების პერიოდში ხელმისაწვდომი იყო სხვა ქვეყნის ანალოგური არხები.

მონიტორინგისას აზერბაიჯანული, სომხური და რუსული არხების მიღება დაფიქსირდა შემდეგ წერტილებში - მარტყოფი, ტრანზიტული გზა (კახეთის გზ. კვეთა), ზემო ფონიჭალა, თელეთის სააგარაკე დასახლება, ასურეთის სააგარაკე დასახლება, მარნეულის შესასვლელი, გომბორზე მდებარე პოლიციის შენობა. რუსული არხები ORT, RTR Russia 24-ს მიღება შესაძლებელია ოსიაურში. აზერბაიჯანული არხები ხელმისაწვდომია სოფელ ფარიზსა და შულავერში, თურქული კი ქობულეთში, ბათუმსა და წყალწმინდაში.

აზერბაიჯანული	სომხური	რუსული	თურქული
მარტყოფი, ტრანზიტული გზა (კახეთის გზ. კვეთა), ზემო ფონიჭალა, თელეთის სააგარაკე დასახლება, ასურეთის სააგარაკე დასახლება, მარნეულის შესასვლელი, გომბორი			
სოფელი ფარიზი	მარნეული	ოსიაური	ქობულეთი, ბათუმი, წყალწმინდა
შულავერი	შულავერი		
მარნეული			
ასურეთის აგარაკები			
მარტყოფი			
გომბორი			

სამწუხაროდ ეს არხები 2015 წლის 1 ოქტომბრისთვის ასევე იყო ხელმისაწვდომი იმავე ლოკაციებში.

IDFI-ს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოჩნდა, რომ რიგ ადგილებში არამდგრადია ქსელი. შემოწმების პერიოდისთვის არც ერთი მულტიპლექსის მიღება არ იყო შესაძლებელი შემდეგ წერტილებში - ატენი, ტაშისკარი, თერჯოლა, წყალწმინდა (აქ მხოლოდ თურქული არხის მიღება იყო შესაძლებელი), ზესტაფონის შესასვლელი (შორაპანთან), სოფელ ლეღვა, ხელვაჩაური.

თერჯოლაში გარკვეულ წერტილში ვრცელდებოდა ტელერადიოცენტრის მულტიპლექსის სიგნალი, რიგ ადგილებში კი საერთოდ ვერ იღებდა ვერც ერთი მულტიპლექსის სიგნალს.

ტელერადიოცენტრის მიერ აგებული მულტიპლექსი არ ვრცელდებოდა შემდეგ ტერიტორიაზე - კუმისი, ფოთი, ხობი, ქობულეთის ცენტრი, შუახევის შესასვლელი, სამტრედია. სტერო +-ის ეროვნული მულტიპლექსის სიგნალი კი არ ვრცელდებოდა სენაკსა და სამტრედიაში.

2016 წლის იანვრის და თებერვლის თვეში IDFI-მ განახორციელა განმეორებითი მონიტორინგი ანალოგიურ წერტილებში. დასავლეთ საქართველოში, მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა ხარვეზები მხოლოდ შემდეგ რაიონებში, ქალაქ თერჯოლაში არ მუშაობს შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრის“ ქსელი, ხოლო შპს „სტერეო +“- ის მხოლოდ ერთი მუქსი მუშაობდა (20 იანვარი, 16 საათზე), ხონში არ იყო ეთერში ადგილობრივი მუქსი (შემოწმების დრო 18 საათი), ხოლო სოფელ უბისაში არ არის ჩართული არცერთი გადამცემი (14 საათი). აღმოსავლეთ საქართველოში ხარვეზები დაფიქსირდა მხოლოდ ახალქალაქში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ხშირია გათიშვები, ხოლო კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში კვლავ არის შენარჩუნებული აზერბაიჯანის და სომხეთის მხრიდან ციფრული სიგნალების გავრცელება მაღალი ხარისხით (მარნეული, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონები), ასევე აღსანიშნავია, რომ არ არის ჩართული ლაგოდეხის ადგილობრივი მუქს ოპერატორის გადამცემი. რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების ამოქმედების ვადები განსხვავდებოდა ეროვნული მულტიპლექსის აგების ვადებისგან, თუმცა 1 მარტი საერთო ვადა იყო ქსელების ამოქმედებისთვის.

4. სეთ-თოფ-ბოქსების დარიგების, რეალიზაციის და ინსტალაციის პროცესების მონიტორინგი

საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროექტის ფარგლებში სეთ-თოფ-ბოქსების მიმართულება ადვოკატირების კუთხით დაყოფილი იყო ორ ნაწილად:

- სახელმწიფოს სუბსიდირებული სეთ-თოფ-ბოქსების სტანდარტიზაციის, დაფინანსების, სატენდერო პროცედურების და დარიგების პროცესი;
- არასუბსიდირებული სეთ-თოფ-ბოქსების კონცენტრაცია, მათი ფასის და გაყიდვის დინამიკა. ამ ნაწილში ორგანიზაცია ასევე აკვირდებოდა მენიუს ენას და აღქმადობის სიმარტივეს, გამომავალი ინტერფეისების მრავალფეროვნებას, სადენების არსებობის და სხვა დაკავშირებულ საკითხებს.

მომხმარებლის მხარეს განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები არ მოიცავდა მხოლოდ საჭირო ტექნიკური მოწყობილობების კონცენტრაციის და დარიგების პროცესის მონიტორინგს. ამ პროცესმა ასევე მოიცვა სეთ-თოფ-ბოქსების და ტელევიზორების კომერციული საცალო ბაზარი. მონიტორინგის პროცესში მომხმარებლების მხრიდან მიღებული პრეტენზიები უკავშირდებოდა ძირითადად შემაერთებელი სადენების და მათი ტელევიზორებთან და შემენილ რისიკებთან თავსებადობის საკითხებს. იყო გარკვეული პრობლემები მომველებული სახურავის და სახლის ანტენების გამო. IDFI-მ პროექტის ფარგლებში რამდენჯერმე შეისწავლა მიმღები ანტენების კონცენტრაცია ბაზარზე და მათი ფასები. ამ მიმართულებებით არსებული საკითხების მონაცემები განთავსდა ორგანიზაციის ყოველკვირეულ საინფორმაციო ბუკლეტში, რომელიც ახლდებოდა ყოველკვირეულად და ხელმისაწვდომი იყო ონლაინ რეჟიმში. IDFI-მ აღნიშნულის შესახებ ისაუბრა ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამართულ შეხვედრებზე, ასევე სატელევიზიო და რადიო ინტერვიუებში, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამართულ შეხვედრებზე რეგიონებში, სადაც ეს მონაცემები გადაეცათ სოფლების გამგებლებს რეგიონების მიხედვით.

4.1. სუბსიდირებული მომხმარებლები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ნაწილობრივ გაიზიარა IDFI-ს ინიციატივა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში მხარდაჭერის მიზნით სეთ-თოფ-ბოქსების შეძენისა და მათი დარიგების, ასევე მათი ინსტალაციის პროცესის დაფინანსება. ასევე, IDFI-ს მიდგომას წარმოადგენდა, სახელმწიფოს უზრუნველყო ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სეთ-თოფ-ბოქსების ნაცვლად პატარა ეკრანიანი DVB-T2 ტელევიზორების დარიგება.

IDFI-ს შეთავაზებული და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაზიარებული საკითხები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

IDFI-ს შეთავაზებები	პრაქტიკაში განხორციელება
სოციალურად დაუცველი ოჯახების სიაში რეგისტრირებული ყველა იმ ოჯახის სუბსიდირება, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლები იყო 200 000-ზე	გათვალისწინებული იყო ნაწილობრივ
სეთ-თოფ ბოქსებით სრულად სუბსიდირება 100 000 სარეიტინგო ქულამდე ოჯახებისთვის	გათვალისწინებული იყო მხოლოდ 70 000 ქულამდე ოჯახებისთვის

სუბსიდირების განხორციელება ვაუჩერების დარიგებით ⁵	არ იყო გათვალისწინებული. სეთ-თოფ-ბოქსების დარიგება მოხდა სსიპ „საქართველოს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ მეთვალყურეობის ქვეშ შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ
100 000-დან 200 000 ქულამდე სარეიტინგო ქულის ოჯახებისთვის ხარჯების სუბსიდირება 50%-ით ვაუჩერების გაცემით	არ განხორციელებულა
ყველა პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ ნეიტრალური სეთ-თოფ-ბოქსების შექმნა	გათვალისწინებულია
სეთ-თოფ-ბოქსების ინსტალაციის ხარჯების სუბსიდირება 30 ლარამდე თანხების ფარგლებში	არ განხორციელებულა
შშმ პირებისთვის სეთ-თოფ-ბოქსების ინსტალაცია სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ	განხორციელდა
სუბსიდირებული რისიკების მიტანა შშმ პირებისთვის მათ საცხოვრებელ მისამართზე	განხორციელდა

ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდა სხვადასხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები და ის კომუნიკაცია, რომელიც მუდმივად ხორციელდებოდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან, სსიპ „საქართველოს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან“ და შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრთან“.

სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ მონაცემებით ანალოგური მაუწყებლობის გამორთვამდე დარიგებული იყო სეთ-თოფ ბოქსების უმრავლესობა, ხოლო მათი დარჩენილი ნაწილი დარიგდა ანალოგური მაუწყებლობის ეტაპობრივი გადართვის დასრულებამდე, ანუ 2015 წლის სექტემბრამდე.

⁵ შენიშვნა: IDFI-ის მიდგომის საფუძველი იყო სეთ-თოფ-ბოქსების რეალიზაციის საცალო ბაზრის წახალისების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის არჩევანის მიცემის შესაძლებლობა ვაუჩერის გამოყენებისას. ეს გაზრდიდა კონკურენციას და მოთხოვნას სეთ-თოფ-ბოქსების გაყიდვების ბაზარზე და შეამცირებდა ფასებს.

4.2. არასუბსიდირებული მომხმარებლები

სეთ-თოფ-ბოქსები ქართულ ბაზარზე მხოლოდ 2015 წლის აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისიდან გამოჩნდა, რაც IDFI-ს შეფასებით დაგვიანებული იყო. ორგანიზაცია წლის დასაწყისიდანვე მოუწოდებდა ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, რომ აქტიურად წარემართა საინფორმაციო კამპანია და ამასთან, იმპორტიორ კომპანიებთან კომუნიკაცია მჭიდროდ ეწარმოებინა, რათა უფრო ადრე გაჩენილიყო მოთხოვნა ტექნიკაზე და შესაბამისად, ადრე მომხმარებელი მისი შემოტანა ბაზარზე. საჭირო იყო კომერციული სეთ-თოფ-ბოქსების იმპორტზე ზრუნვა. დისტრიბუტორებთან კომუნიკაცია უნდა დაწყებულიყო სუბსიდირებულ სეთ-თოფ-ბოქსების შესყიდვასთან ერთად. სააგენტომ კი მათთან კომუნიკაცია 2014 წლის ოქტომბერში გამართა.

ანალოგური სიგნალის გათიშვის თარიღის მოახლოებასთან ერთად (17 ივნისი) IDFI-მ დაიწყო ბაზრის მოკვლევა. შედეგად ცხადი გახდა, რომ მოქალაქეები არ იყვნენ ინფორმირებულნი დაგეგმილი ცვლილების შესახებ და ბაზარზე სეთ-თოფ-ბოქსების კონცენტრაციაც ძალიან მცირე იყო, ამ დროისთვის დაახლოებით 5 ათასი ცალი რისივერი იყო გაყიდული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა არ იყო მომზადებული ცვლილებისთვის, რაც მათ უკმაყოფილებას გამოიწვევდა და რეალურად ვერ მიიღებდა მაუწყებლობას. გარდა ამისა, ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო რისივერების მწარმოებელი ფირმების მრავალფეროვნება, რათა მოქალაქეებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მისცემოდათ, ფასი კი ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

აქედან გამომდინარე IDFI-მ 27 მაისს ჩაატარა მრგვალი მაგიდა და მასში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია პროცესში ჩართული ყველა მხარე. მსჯელობისას მხარეებმა გაიზიარეს IDFI-ს მოსაზრება მოსახლეობის მოუმზადებლობის შესახებ. სწორედ ამიტომ შეთანხმდნენ იმაზე, რომ უმჯობესი იყო ანალოგური სიგნალის გამორთვის თარიღი გადაწეულიყო. ამასთან მთელ ქვეყანაში არა ერთბაშად (როგორც დაგეგმილი იყო), არამედ ეტაპობრივად, რეგიონების მიხედვით გამორთულიყო ანალოგური სიგნალი. ეს მოსაზრება IDFI-ის მედიისა და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა, უჩა სეთურმა პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე 28 ივნისს გააჟღერა და აუხსნა დეკუტატებს, თუ რა პრობლემები არსებობდა ამ პროცესში.

ივნისის დასაწყისში IDFI-ს თანამშრომლები უშუალოდ იმყოფებოდნენ ტექნიკის მაღაზიებსა და ბაზრობებზე, აგრეთვე შეხვდნენ სეთ-თოფ-ბოქსების დისტრიბუტორ კომპანიებს. შეისყიდეს აპარატურა და შეამოწმეს უშუალოდ მათი რეალიზაციის წერტილებში. მონიტორინგმა ძირითადად მოიცვა თბილისი, თუმცა IDFI-ს პარტნიორი ორგანიზაციის „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ დახმარებით მოიძია ინფორმაცია რამდენიმე დიდ ქალაქშიც.

IDFI სეთ-თოფ-ბოქსების კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციას პერმანენტულად აქვეყნებდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის დასრულებამდე.

2015 წლის 2 ივნისის მდგომარეობით საცალო ვაჭრობის ბაზარზე უმეტესად სამი ფირმის „სეთ-თოფ-ბოქსი“ იყო შეტანილი - Eurostar-ი, Sven-ი და TV Star-ი. მას შემდეგ რაც გადაწყდა, რომ ანალოგური სიგნალი ეტაპობრივად გამოირთვებოდა, ორგანიზაცია ამ ინფორმაციას გამორთვის გრაფიკის შესაბამისად, რეგიონების მიხედვით აქვეყნებდა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დღის განმავლობაში IDFI-ს ოფისში არაერთი ადამიანი რეკავდა და ითხოვდა კონსულტაციას და დახმარებას სეთ-თოფ ბოქსების შექმნასთან და დაყენებასთან დაკავშირებით. ვინაიდან მომხმარებლები აღნიშნავდნენ, რომ ციფრული მაუწყებლობის ცხელ ხაზზე დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ, IDFI-მ მიმართა სააგენტოს და ოპერატორების დამატება სთხოვა, სააგენტომ რეკომენდაცია გაიზიარა და გაასამშაგა ოპერატორთა რაოდენობა.

24 ივნისისთვის, განხორციელდა სეთ-თოფ-ბოქსების შემოწმების მეორე ეტაპი. აპარატურის კონცენტრაცია ბაზარზე შედარებით გაზრდილი იყო და მომხმარებელსაც ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდა დედაქალაქის თითქმის ყველა მსხვილი ტექნიკის მაღაზიებში და რეგიონების უმრავლესობაში შეეძინა ტექნიკა. ბაზარზე გამოჩნდა ქართულ - აზერბაიჯანული კომპანია AG Telekom-ის მიერ წარმოებული რესივერებიც, რომლის ფასი 64 ლარს შეადგენდა, რომლის ფასშიც შედიოდა RCA კაბელი.

ასევე, ეტაპობრივად, რეგიონებშიც უფრო მეტი რაოდენობის სეთ-თოფ-ბოქსი გახდა ხელმისაწვდომი იქ მცხოვრები მოქალაქეებისთვის. ანალოგური სიგნალის გრაფიკით გამორთვა რომ გამართლებული და აუცილებელი იყო, ნათლად გამოჩნდა. ვინაიდან გამორთვამდე მოცემულ დროში კომპანიებმა ტექნიკის შემოტანა, მოსახლეობამ კი შეძენა მოასწრო.

თარიღი	ბაზარზე არსებული STP (დაახლოებით) რაოდენობა	STP-ს მოდელი	ფასი
28 მაისი	5 000 (გაყიდული)	TVStar,	55-70
		Eurostar,	65
		Sven	95
24 ივნისი	30 000 (დისტრიბუციაში გაშვებული)	TVStar,	52-80
		Eurostar,	65
		Sven	95
		AG Telekom	64
29 ივლისი	130 000	TVStar	50-60
		Eurostar,	70

		AG Telekom	64-75
		Youmax,	70
		Superbox	70
11 სექტემბერი	200 000	TVStar	50- 80
		Youmax,	60
		AG Telekom	65
		Sven	89
		Star Track	75
		World Vision T37	70

გარდა რისივერებისა, მნიშვნელოვანი იყო DVBT2 სტანდარტის სიგნალის მხარდამჭერი ტელევიზორების კონცენტრაციის საკითხი. IDFI-მ წერილით მიმართა ტექნიკის მსხვილ მაღაზიებს, თუ რა რაოდენობის ამგვარი ტელევიზორი ჰქონდათ მათ რეალიზებული. კომპანიების ნაწილისგან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ მიმდინარე წლის აპრილიდან მათ მიერ ბაზარზე მხოლოდ DVB-T2 სტანდარტის ტელევიზორები იყო შემოტანილი და გაყიდული ტელევიზორების 90%-ზე მეტი სწორედ ამ სტანდარტის მხარდამჭერი იყო. კომპანიებმა კონკრეტული რაოდენობის დასახელებისგან თავი შეიკავეს. თუმცა მაღაზიების უშუალო შემოწმების შედეგადაც შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე, ამ ეტაპზე, ძირითადად DVB-T2 იყიდება. გამონაკლის შემთხვევებში DVB-T ტელევიზორებს საჩუქრად ციფრული რისივერი მოჰყვებოდა.

სეთ-თოფ-ბოქსებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებისთვის, IDFI-იმ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა შემდეგი მასალები:

- [ციფრული მაუწყებლობა აჭარაში - 30 ივლისს აჭარაში ანალოგური სიგნალი გამოირთვება | 29 ივლისი 2015](#)
- [სად შეიძლება სეთ-თოფ-ბოქსების შეძენა შიდა ქართლში? | 8 ივლისი 2015](#)
- [ციფრული სიგნალის სრულყოფილად მისაღებად უმჯობესია სახლის ანტენების სახურავზე განთავსება | 3 ივლისი 2015](#)
- [სეთ-თოფ-ბოქსების კონცენტრაცია ბაზარზე ანალოგური სიგნალის გამორთვამდე ერთი კვირით ადრე | 26 ივნისი 2015](#)

- [1 ივლისს თბილისსა და მის შემოგარენში ანალოგური სიგნალი გამოირთვება | 25 ივნისი 2015](#)
- [რა უნდა ვიცოდეთ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის? | 25 ივნისი 2015](#)
- [სად შეგიძლიათ შეიძინოთ სეთ-თოფ-ბოქსები? | 15 ივნისი 2015](#)
- [ციფრული საეთერო მაუწყებლობის მისაღებად განკუთვნილი რესივერები საცალო ვაჭრობის ქსელში | 12 ივნისი 2015](#)
- [ციფრული მაუწყებლობისთვის საჭირო სეთ-თოფ-ბოქსები ქართულ ბაზარზე | 9 ივნისი 2015](#)

ამასთან ერთად, სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციები, როგორც ტექსტური, ისე ინფოგრაფიკის და ვიზუალური სახით. IDFI-მ საანგარიშო პერიოდში კონსულტაცია გაუწია 300-მდე მოქალაქეს, რომლებიც სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით კითხვებით მომართავდნენ ორგანიზაციას.

5. ორგანიზაციის აქტივობები ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების აგების და მაუწყებლების დაშვების საკუთხებთან დაკავშირებით

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი, რეფორმასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური სირთულეების გამო, უპირველესად რეგიონებში მოქმედი მცირე მაუწყებლებისთვის ქმნიდა ბაზრიდან გასვლის საფრთხეს. სწორედ ამიტომ IDFI-მ პროგრამის განხორციელებისას ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ციფრულ პლატფორმაზე მიგრაციის პროცესში მცირე მაუწყებლების ხელშეწყობა განსაზღვრა.

ორგანიზაცია ჩართული იყო თბილისი მუქსის ირგვლივ არსებულ დავაში, მარეგულირებელი კომისიის მოწვევით, როგორც მედიატორი მხარე. ერთ თვიანი მოლაპარაკებებს ფარგლებში ორგანიზაცია სთავაზობდა მხარეებს მაუწყებლები „მიუზიქბოქსს“ და ტელერადიო კომპანია „კავკასიას“ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ „ევრიკას“ და „ობიექტივი“-ს ოპტიმალურ მოდელებს მათ შორის არსებული შეთანხმებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, მიუხედავად საბოლოო შედეგების არარსებობისა, მხარეებს შორის არსებული პრობლემების ზუსტი განსაზღვრა და წინ წამოწევა მოხდა.

ანალოგური მაუწყებლობის რეჟიმში ქვეყანაში, თბილისის ადგილობრივი ზონის გამოკლებით, 25 ადგილობრივი გეოგრაფიული არეალის მიხედვით (რომელიც შესაბამისობაში იყო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან) 23 ადგილობრივი საეთერო ტელე მაუწყებელი ფუნქციონირებდა:

გადამცემი სადგურების განთავსების ადგილი		მაუწყებლის სახელწოდება
1.	ლაგოდეხი	შპს „ეკომი“
2.	გურჯაანი	შპს ტელეკომპანია „გურჯაანი“
3.	თელავი	შპს ტელეკომპანია „თანამგზავრი“
4.	საგარეჯო	შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალი“
5.	რუსთავი	სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“
6.	მარნეული	სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“
7.	ბოლნისი	სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“
8.	მანგლისი	შპს „ომეგა“
9.	გორი	შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
10.	ხაშური	შპს ტელეკომპანია „დია“
11.	საჩხერე	ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
12.	ბორჯომი	შპს ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომი“
13.	ჭიათურა	შპს სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“
14.	ზესტაფონი	შპს ტელერადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“ სპს „კვეტენაძე და კომპანია“
15.	ახალციხე	შპს „იმპერია“
16.	ქუთაისი	შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
17.	ხონი	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეგა-ტვ“

18.	სამტრედია	შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი“
19.	ჩხოროწყუ	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“
20.	წალენჯიხა	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“
21.	სენაკი	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
22.	ოზურგეთი	შპს დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია“
23.	ზუგდიდი	შპს დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია „ოდიში“
24.	ბათუმი	შპს „ტელეარხი 25“ ა(ა)იპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
25.	ფოთი	შპს სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა“

IDFI-ის სამუშაოები ამ არხების შენარჩუნებისა და ზოგადად ლოკალური მაუწყებლობის მხარდაჭერისთვის რამდენიმე მიმართულებით წარიმართა, რამაც შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ცხრილში მოყვანილი მაუწყებლების შენარჩუნება, არამედ ზემოთ მოყვანილ სამაუწყებლო ზონაში ადგილობრივი სამაუწყებლო ქსელების ფორმირება, რომელთა საშუალებით არა ერთი არხის ტრანსლირებაა შესაძლებელი.

ანალოგური მაუწყებლობის დროსაც, სამწუხაროდ, საქართველოში იყო არაერთი ე.წ. „ათვისებელი ზონა“, სადაც ლოკალური მაუწყებლები არ ფუნქციონირებდნენ (რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, ხევსურეთი და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, საკითხის განხილვის პროცესში, ღია სხდომებზე დეკლარირებულად გაიზიარა IDFI-ს რეკომენდაცია და განაცხადა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, კომუნიკაციების ეროვნული კომისია გამოთქვამს მზადყოფნას საკონკურსოდ გამოიტანოს თავისუფალი სიხშირული რესურსი ადგილობრივი მცირე მულტიპლექსების ფორმირებისთვის.

მნიშვნელოვანია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მზაობა, გამოიყოს დამატებითი რადიოსიხშირული რესურსი არსებული ქსელებისთვის ჩრდილოვანი ზონების (აქამდე დაუფარავი სოფლების და დაბების) დასაფარადაც.

სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი სიხშირული სპექტრის განაწილებამ ადგილობრივი მაუწყებლების მიერ მინიჭებული სიხშირული რესურსის გამოყენება ციფრული

მაუწყებლობისთვის შესაძლებელი გახადა მხოლოდ ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ, რამაც შექმნა ე.წ. „ფანჯრის“ ეფექტი ადგილობრივი არხებისთვის ციფრულზე გადასვლის პროცესში. თუმცა, პარალელური მაუწყებლობის შეუძლებლობამ რეგიონული ტელევიზიებისთვის არსებითად შეამცირა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ხარჯიც.

საყურადღებოა ლოკალური ციფრული ქსელების ფორმირების საბოლოო ვადაც. ადგილობრივი ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს ადგილობრივი მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება 2016 წლის 1 მარტამდე, რაც ეროვნული ქსელებისგან განსხვავებით, ლოკალურ ქსელებს აძლევს რეფორმის განხორციელებისთვის მეტ დროს.

იმისთვის, რომ რეალურად განხორციელდეს ციფრული მაუწყებლობის სტრატეგიით მიღწეული შედეგები ადგილობრივი მაუწყებლებისთვის, IDFI -ს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა რეგიონული არხებისთვის ციფრულზე მიგრაციის ტექნიკური საკითხების ანალიზი და პროექტირებაში მხარდაჭერა. ამ მიზნით GARB -თან პარტნიორობით, მოეწყო არაერთი შეხვედრა, პრეზენტაცია-სემინარები და ტრენინგები ციფრული მულტიპლექსების ფორმირებასა და ტექნიკურ პარამეტრებთან დაკავშირებით, რამაც გაზარდა რეგიონული ტელევიზიების მენეჯერთა ცოდნის დონე. მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების გაზიარება თავად რეგიონულ მაუწყებლებს შორის, ამ გზით რეგიონულმა არხებმა შეძლეს ტექნიკური დავალების მომზადება და საბოლოოდ მულტიპლექსის ფორმირებისთვის საჭირო სამუშაოების გაძღოლა.

მაუწყებლების, ასევე ციფრული მაუწყებლობის საეთერო ქსელების ოპერატორების დაფინანსების მიმართულებით, ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტი ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, რომ მათ რეგულირებაში ასახონ ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები, რომლის მიზანი იქნება მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოფს საზოგადოების წევდომის შესაძლებლობას მაღალხარისხიან პროგრამებთან, რომელიც მრავლად იქნება წარმოდგენილი მედია ბაზარზე⁶. სახელმწიფომ უნდა დაიცვას და თუ აუცილებელია, მიიღოს სპეციალური ზომები, მედია პლურალიზმის დასაცავად. IDFI-ს რეკომენდაციებიც რეგიონული არხების მხარდასაჭერად ეფუძნებოდა სწორედ ამგვარ მიდგომებს, რაც შემდგომ რეკომენდაციებში გამოიხატა:

IDFI-ს რეკომენდაცია **პრაქტიკაში განხორციელება**

⁶ Recommendation R (2003)9 of the Committee of Ministers to Member States on measures to promote the democratic and social contribution of digital broadcasting.

რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების წამახალისებელ საშუალებად, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში, გამოყენებული იყოს, რეგულირების საფასურის შეღავათიანი ან ნულოვანი ოდენობის დადგენა	არ განხორციელებულა
გარდამავალ პერიოდში შესაძლოა მოხდეს მათი გადასახადებისგან განთავისუფლება	არ განხორციელებულა
შესაძლოა დადგინდეს პირდაპირი სუბსიდირების სისტემა, გარკვეული გადამცემი აპარატურის შესაძენად ან გამოიყოს დაბალპროცენტიანი სესხები იმავე მიზნობრივობით.	არ განხორციელებულა
მოხდეს ანალოგური მაუწყებლობისთვის განკუთვნილ ლიცენზიებში წინსწრებით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება	განხორციელდა

საბოლოოდ, სახელწიფომ გაიზიარა ბოლო რეკომენდაცია და შესაბამისად, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ მაუწყებლებს 2015 წლის ივლისის დასაწყისში უკან დაუბრუნდა მილიონზე მეტი (1,073,076.68) ლარი.

6. დარჩენილი პრობლემები

2014 წლის დეკემბერში დაწყებული აქტიური სამუშაოების პროცესი დღეს დასკვნით სტადიაშია შესული. ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელების აგების და მუშაობის არსებული მდგომარეობა, დამაკმაყოფილებელია, თუმცა მაინც რჩება პრობლემები თუნდაც საქსელო დონეზე, როდესაც ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა გარკვეული პერიოდი რჩება სამაუწყებლო სიგნალის გარეშე. დასასრულებელია ე.წ. „gap filler“-ების საინსტალაციო სამუშაოები. ოპერატორების მხრიდან, ასევე, სახელდება ელექტროენერჯის მიწოდებისას მნიშვნელოვანი ხარვეზები 2015 წლის და 2016 წლის ზამთრის პერიოდში.⁷ პრობლემებს შორის, ასევე, შეიძლება

⁷ ამ საკითხზე IDFI-მ დახმარებისთვის 2016 წლის თებერვალში მიმართა სემეკს, ასევე ენერგოპრო ჯორჯიას და კახეთის დისტრიბუციის ქსელს, შედგა შეხვედრა და შპს „სტერეო+“-ის და შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრის“ წარმომადგენლების მონაწილეობით. შეხვედრაზე მოხდა ინფორმაციის და

დავასახელოთ მეზობელი ქვეყნების ციფრული გადაცემების „შემოჭრა“ ძირითადად აზერბაიჯანის, სომხეთის, ასევე ოკუპირებული ტერიტორიის მხრიდან ანალოგურ ფორმატში.

7. პროექტის მედია გაშუქება

IDFI-ს მიერ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერასა და მონიტორინგს აქტიურად აშუქებდნენ ადგილობრივი მედია საშუალებები. IDFI-ს წარმომადგენლების მონაწილეობით ეთერში გავიდა ოცდაათზე მეტი სიუჟეტი თუ გადაცემა, ჩაიწერა არაერთი რადიო გადაცემა და მომზადდა ათობით სტატია.

IDFI-ს მედია ექსპერტი, უჩა სეთური 29-30 სექტემბერს თბილისში გამართულ ეუთოს მე-12 სამხრეთ კავკასიურ მედია კონფერენციას ესწრებოდა. შეხვედრაზე მან გააკეთა მოხსენება „ციფრულ მაუწყებლობაზე საქართველოს გადასვლა და მისი გავლენა მედია პლურალიზმზე“. აღნიშნული კონფერენციის შესახებ სიუჟეტი⁸ მოამზადა ტელეკომპანია ერთსულოვნებამ.

1 ივლისს, როდესაც ანალოგური სიგნალი თბილისსა და მის შემოგარენში გაითიშა, რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი⁹, სადაც საუბარია ზუსტი ინფორმაციის არ არსებობაზე იმის შესახებ, თუ რამდენი ოჯახი ვერ ახერხებს ქართული არხების ყურებას. 3 ივლისს, რუსთავი 2-მა გააშუქა რუსთავში ციფრული მაუწყებლობის სიგნალის მიღებისას წარმოქმნილი პრობლემები, ამავე სიუჟეტში¹⁰ უჩა სეთური აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობა ანალოგური სიგნალის გათიშვას ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე მომზადებული შეხვედეს.

რუსთავი 2-მა, გორში სიგნალის გათიშვამდე, მოსახლეობასთან შეხვედრაც გააშუქა¹¹. 25 აგვისტოს, მცხეთა-თიანეთში ანალოგური სიგნალი გაითიშა. აღნიშნულის შესახებ რეგიონში შეხვედრა გაიმართა, რომელზეც IDFI-ის ანალიტიკოსი ნატა ძველიშვილი იმყოფებოდა. რუსთავი 2-ის სიუჟეტში¹² ის აღნიშნავს, რომ ყველაზე ეფექტური კომუნიკაციის საშუალება მსგავსი ტიპის შეხვედრები აღმოჩნდა მოსახლეობის ინფორმირებისთვის.

ნატა ძველიშვილი სტუმრად იყო მიწვეული GDS-ის შუადღეში¹³, სადაც განმარტა, თუ ვის ეხება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი და ვის სჭირდება დამატებითი მოწყობილობის,

საკონტაქტო პასუხისმგებელი პირების მონაცემების გაცვლა, და შეთანხმდა გარკვეული საკოორდინაციო გეგმა ელექტროენერჯის მიწოდების პრობლემების დროულად გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.

⁸ <http://www.myvideo.ge/tv/ertsulovneba&seekTime=30-09-2015%2019:03>

⁹ <http://rustavi2.com/ka/news/20188>

¹⁰ <http://rustavi2.com/ka/news/20319>

¹¹ http://www.myvideo.ge/?video_id=2599065

¹² http://www.myvideo.ge/?video_id=2623607

¹³ https://www.youtube.com/watch?v=IWvp5tH2_Y8

„სეთ-თოფ-ბოქსის“ შექმნა. მოგვიანებით, ამავე არხის შუადღეში¹⁴ უჩა სეთურმა სეთ-თოფ-ბოქსების ბაზარზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ისაუბრა.

ტელეკომპანია იმედმა ჯერ კიდევ ანალოგური სიგნალის გათიშვამდე მოამზადა სიუჟეტი¹⁵, სადაც IDFI-ის მედია ექსპერტი ანალოგური სიგნალის გამორთვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ დაბრკოლებებზე საუბრობს. იმედის ეთერით¹⁶ უჩა სეთურმა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში გარკვეულ ხარვეზებზეც ისაუბრა, ხოლო მოგვიანებით, ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ მომზადებულ სიუჟეტში¹⁷ ახლად წამოჭრილ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. ტელეკომპანია იმედმა გააშუქა მცხეთა-თიანეთის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ გამართული შეხვედრაც. სიუჟეტში¹⁸ ნატა ძველიშვილმა შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა.

მაესტროს საქმიანი დილის¹⁹ ეთერში IDFI-ის ანალიტიკოსი, ნატა ძველიშვილი ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის უარყოფით მხარეებზე საუბრობდა, ხოლო ამავე არხის მეშვეობით, მას შემდეგ, რაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღმა 17 ივნისიდან ორი კვირით, 1 ივლისამდე გადაიწია, უჩა სეთურმა მოსახლეობას ურჩია²⁰, ეს დრო სეთ-თოფ-ბოქსების შესაძენად გამოეყენებინათ. ამავე ტელევიზიის მიერ მომზადდა სიუჟეტი²¹ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე ერთი დღით ადრე, ასევე 25 აგვისტოს, თიანეთში გამართული შეხვედრის²² შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 12 მაისს გასულ სიუჟეტში²³ საინფორმაციო კამპანიის ხარვეზებზე ისაუბრა. ტელეკომპანიაში არა ერთხელ იყო მიწვეული უჩა სეთური. ეკონომეტრის²⁴ ეთერში მან ქართულ ბაზარზე რისიკერების მაჩვენებელზე, მოსახლეობის ინფორმირებულობასა და ქვეყნის მთლიანი მასშტაბით ანალოგური სიგნალის გათიშვის სავარაუდო ვადებზე ისაუბრა. საზოგადოებრივი მაუწყებელი თბილისში ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზეც მუშაობდა. 6 ივლისის სიუჟეტში²⁵ მაუწყებელმა IDFI-ის მონაწილეობით შიდა ქართლში სიგნალის გათიშვამდე გამართული საინფორმაციო ტიპის შეხვედრაც გააშუქა. 7 ივლისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით²⁶, IDFI-ის ანალიტიკოსი ნატა ძველიშვილი საუბრობდა. მისი თქმით, არც

¹⁴ <https://www.youtube.com/watch?v=FamJm1mTCWA&index=344&list=PLvH9znMEyNxGZIKdIPRN8YS-g60CcRLYy>

¹⁵ <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=49487>

¹⁶ <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=50759>

¹⁷ <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=51935>

¹⁸ http://www.myvideo.ge/?video_id=2623609

¹⁹ <https://www.youtube.com/watch?v=GxpnS1fTJIA>

²⁰ <https://www.youtube.com/watch?v=jWy8lgx5A3g>

²¹ <https://www.youtube.com/watch?v=v3ymOTus5gl>

²² http://www.myvideo.ge/?video_id=2623605

²³ <https://www.youtube.com/watch?v=H4bHJq4yd2w>

²⁴ <http://www.2tv.ge/ge/videos/view/147721.html>

²⁵ http://www.myvideo.ge/?video_id=2599066

²⁶ <http://1tv.ge/ge/news/view/title/103931.html>

ბაზარზე და არც ქსელის მდგრადობის თვალსაზრისით პრობლემები არ შეინიშნება. მოგვიანებით, 8 ივლისს, სიგნალის გათიშვის შემდგომ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით²⁷, უჩა სეთურმა მოსახლეობას საჭირო რეკომენდაციები მიაწოდა. IDFI-ის ვიზიტი რეგიონებში ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებით, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საქმეთა სამინისტროს წამომადგენლებთან ერთად, ასევე შეუქდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით. შეხვედრები გაიმართა ფოთსა²⁸ და ზესტაფონში²⁹, სადაც იმყოფებოდა ნატა ძველიშვილი. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სიუჟეტი³⁰ მომზადდა მცხეთა-თიანეთში, 25 აგვისტოს ანალოგური სიგნალის გათიშვასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზეც, რომელშიც მონაწილეობდა IDFI-ის ანალიტიკოსი, ნატა ძველიშვილი.

შეხვედრა გორში TV Dia-ს მიერაც იქნა გაშუქებული. აღნიშნული ტელეკომპანიის სიუჟეტში³¹, ნატა ძველიშვილმა მოსახლეობას და შეხვედრაზე დამსწრეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ ვის დასჭირდება სეთ-თოფ-ბოქსები და სად შეიძლება მათი შეძენა.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი მეორე არხმაც გააშუქა. "არგუმენტების დრო³²"-ში სტუმრად იყო უჩა სეთური, რომელმაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული ყველა დეტალი განიხილა და ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ჩართულობაზე ამ პროცესში.

ტელეკომპანია კავკასიამ მოსახლეობას აუწყა³³, რომ ჯერ კიდევ 1 ივლისამდე, ციფრული სიგნალი ჩართული იყო და შეეძლოთ სეთ-თოფ-ბოქსების შეძენა არ გადაედოთ.

ჯერ კიდევ 30 აპრილს, რადიო ფორტუნას "რაკურსის³⁴" ეთერით, ნატა ძველიშვილმა ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ დროულად მოხდებოდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა.

ციფრულზე გადასვლის პროცესი არც ბეჭდურ მედიას დაუტოვებია უყურადღებოდ. გამოქვეყნდა არა ერთი სტატია სხვადასხვა მედიასაშუალებების ვებგვერდზე: Liberali.ge, Netgazeti.ge, newspress.ge, gurianews.ge, Radiotavisufleba.ge, Epn.ge და სხვები.

IDFI-ს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ ORT-ს პროგრამების რეტრანსლატორ - შპს „რ.ბ.ჯ.“-ს სანქციები დაუწესა. აღნიშნულზე სტატიები მოამზადეს news.ge-მ³⁵ და apsny.ge-მ.³⁶

²⁷ <http://1tv.ge/ge/news/view/103307.html>

²⁸ http://www.myvideo.ge/?video_id=2605366

²⁹ <http://zestaphoni.com/1573--.html>

³⁰ http://www.myvideo.ge/?video_id=2623606

³¹ <https://www.youtube.com/watch?t=76&v=BI0hBH8beuE>

³² <https://www.youtube.com/watch?v=wFfeacO2R2E>

³³ <https://www.youtube.com/watch?v=BHaGeWS7cms>

³⁴ <https://www.youtube.com/watch?v=3bz5GongBp8>

Liberali.ge³⁷-მ 22 ივნისს ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ციფრული მაუწყებლობის შეცვლილ თარიღთან დაკავშირებით. სტატიაში უჩა სეთურის ვრცელი კომენტარი გვხვდება ციფრული სიგნალის გასავრცელებლად საქსელო მზაობის შესახებ.

Netgazeti.ge³⁸-მ მოამზადა სტატია ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდგომ და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რუსთავის მოსახლეობას ციფრული სიგნალის მიღებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემა შეექმნა. ამავე შემთხვევაზე Editori.ge³⁹ უჩა სეთურს ესაუბრა.

IDFI-ს მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად შეეძლო მოსახლეობას სეთ-თოფ-ბოქსების შეძენა, ფასებისა და მისამართების მითითებით, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა მოქალაქეებისთვის. ამის შესახებ ივლისის თვეში Bpn.ge⁴⁰ და ambebi.ge⁴¹ იუწყებოდა. მომზადებული მასალა გამოიყენეს ტექნიკის მაღაზიებისა თუ სხვა ფეისბუქ გვერდებმა.

Newspress.ge⁴² სტატიაში ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, IDFI-სა და ეროვნული კომისიის თანამშრომლობაზე წერს და შიდა ქართლის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

Radiotavisufleba.ge⁴³-ს სტატიაში უჩა სეთურმა კიდევ ერთხელ განმარტა ის უპირატესობები, რაც ციფრულ მაუწყებლობას აქვს.

"IDFI-მ ქართულ ბაზარზე არსებულ, ციფრული მაუწყებლობისთვის საჭირო „სეთ-თოფ-ბოქსებთან“ დაკავშირებით მონიტორინგი ჩაატარა."- წერს Epn.ge⁴⁴ სტატიაში, რომელშიც მონიტორინგის შედეგები დაწვრილებითაა მიმოხილული.

³⁵ <http://news.ge/ge/news/story/158149-idfi-m-maregulirebel-komisias-ort-s-programebis-retranslatoris-shps-r.b.j.-s-sangtsirebis-miznit-mimarta>

³⁶ <http://www.apsny.ge/2015/soc/1446601054.php>

³⁷ <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/126357/>

³⁸ <http://www.netgazeti.ge/GE/105/Technology/47382/>

³⁹ <http://editori.ge/?p=26393>

⁴⁰ <http://www.bpn.ge/biznesi/13182-sad-da-ra-fasad-iyideba-qset-top-boqsebiq-da-romeli-qarthuli-arkhebis-yureba-sheedzleba-mosakhleobas.html?lang=ka-GE>

⁴¹ <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/135526-sad-da-ra-fasad-iyideba-qset-top-boqsebiq-da-romeli-qarthuli-arkhebis-yureba-sheedzleba-mosakhleobas.html>

⁴² <http://www.newspress.ge/sazogadoeba/70143-shida-qarthli-khvalidan-cifrul-mautsyeblobaze-gadadis.html>

⁴³ <http://www.radiotavisufleba.ge/content/tsipruli-mautskebloba-sakartveloshi/27104500.html>

⁴⁴ <http://epn.ge/?id=7252>

8. პროექტის დასკვნითი ღონისძიება

10 მარტს, "კოალიციამ მედიის ადვოკატირებისთვის", ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა (OSGF) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პარტნიორობით გამართა მედია კონფერენცია, სადაც შეჯამდა ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებით პროექტის ფარგლებში IDFI-ს მიერ განხორციელებული საქმიანობა. კონფერენციაზე სხვადასხვა მედია საშუალებისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეაფასეს მედია გარემო საპარლამენტო არჩევნების წინ, იმსჯელეს მედიის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის, ასევე მიმოიხილეს მოსახლეობის დამოკიდებულება რუსულ პროპაგანდასა და გავლენასთან დაკავშირებით, განიხილეს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა, ინტერნეტ თავისუფლების საკითხები, ონლაინ სივრცის რეგულირების ტენდენციები, ხოლო დასკვნით ნაწილში შეჯამდა ციფრული მაუწყებლობის რეფორმა.

IDFI-ს გამგეობის თავმჯდომარის, ლევან ავალიშვილის მოხსენებას ანტი-დასავლურ ნარატივსა და რუსულ გავლენაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დარბაზში აღინიშნა, რომ რუსულ, განსაკუთრებით გასართობ გადაცემებს ქართული საზოგადოების მნიშვნელოვნად დიდი ნაწილი უყურებს. სწორედ ამიტომ, მთავარი ანტი-დასავლური მესიჯები ასეთი ტიპის გადაცემებში იყრის თავს. აქვე, სტუმრებმა ასევე გაიხსენეს IDFI-ს განცხადების შედეგად, ORT-ს პროგრამების ტრანსლატორი კომპანიის სანქცირების შემთხვევაც. კონფერენციის მე-5 პანელზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსთავი2-ის, მოგვიანებით კი ტელეკომპანია მაესტროს სადავო საკითხებს, პირველი არხის რეფორმას, სარეკლამო ბაზრის შემცირებასა და რეკლამის ორი მთვლელის არსებობის. სარეკლამო ბაზრის შესახებ საუბრისას, ინტერმედია პლიუსის წარმომადგენელმა, ზურაბ გუმბერიძემ განაცხადა, რომ სარეკლამო ბაზარი 2015 წლის პირველ სამ კვარტალში 20%-ით შემცირდა, რაც ტელევიზიებისთვის სარეკლამო რეგულაციების დაწესებას დაუკავშირა. პირველი არხის რეფორმაზე საუბრისას, ტელეკომპანიის წარმომადგენელმა, თინათინ ბერძენიშვილმა სტუმრებს განუმარტა, თუ რა მიმართულებებს შეეხება რეფორმა და რა ცვლილებები განხორციელდება. კონფერენციის დასკვნით ნაწილში, IDFI-ს მედიისა და კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა და პროექტის დირექტორმა უჩა სეთურმა, ეთიკის ქარტიის დირექტორმა და IDFI-ს პროექტის ანალიტიკოსმა, ნატა ძველიშვილმა, და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა და IDFI-ს პროექტის ანალიტიკოსმა ნათია კუპრაშვილმა შეაჯამეს ციფრული მაუწყებლობის რეფორმა და წარმოადგინეს როგორც განხორციელებული რეფორმის ანალიზი, ასევე განიხილეს რეგიონული მაუწყებლების მდგომარეობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში.